მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება №2

ქ. რუსთავი 18 იანვარი 2024 წელი

ერთის მხრივ, სსიპ - ლევან გოთუას სახელობის ქალაქ რუსთავის N17 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნელი ლიქოკელის სახით და მეორეს მხრივ, ფ/ზ ლევან კვიჟინაძე პირადი N35001115047 (შემდგომში - მიმწოდებელი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია განვითარებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებების შესყიდვა (CPV: 73220000) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1 მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 1200 (ათას ორას) ლარს და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება თვეში შეადგენს 100 (ასი) ლარს.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული პირი.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე, ყოველი საანგარიშო თვის არაუგვიანეს ბოლო რიცხვისა.

მუხლი 4. მომსახურების მიღების ადგილი და ვადა

4.1. მომსახურების მიღების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი - ქ. რუსთავი, გურამიშვილის ქ. N6;

4.2. მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო უნდა შესრულდეს 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხარვეზის შემთხვევაში უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა. კერძოდ:

- სკოლის განვითარებასთან, მენეჯმენტთან, მართვასთან და სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით სიახლეების დროული შეტყობინება და შესაბამისად, საჭირო მასალების მომზადება-მიწოდება;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის, უსაფრთხოების პოლიტიკის პროექტების, სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმის მომზადებაში დახმარება;
- სკოლის თანამშრომლების, პრაქტიკანტებისა და სტაჟიორების მიღების პროცედურების განხორციელებასთან დაკავშირებით კონსულტაციის გაცემა;
- კონკურსების გამოცხადებასთან დაკავშირებით კონსულტაციების გაცემა, შესაბამისი დოკუმენტებისა და ღონისძიებების განხორციელება;
- სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოსა და საგნობრივი კათედრების საქმიანობასთან დაკავშირებით კონსულტაციის გაწევა, მათი გამართული და ეფექტური საქმიანობის ხელშეწყობა;
- დისციპლინური კომიტეტის ფორმირებასა და მის საქმიანობასთან დაკავშირებით დახმარება, (მათ შორის, განსახილველი საკითხის შესაბამისი პროცედურების დაგეგმვა და დოკუმენტაციის მომზადებაში დახმარება);
- საჭიროების შემთხვევაში სკოლაში ვიზიტის განხორციელება და ადგილზე პრობლემური საკითხების განხილვა;
- სხვადასხვა პრობლემურ საკითხზე კონსულტაციის გაცემა და ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე დახმარების გაწევა.
- კომპეტენციის ფარგლებში, სკოლის დირექტორის დავალებებისა და მითითებების შესრულება.

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ - ლევან გოთუას სახელობის ქალაქ რუსთავის N17 საჯარო სკოლის დირექტორი, ხოლო მისი არ ყოფნის შემთხვევაში დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2025 წლის 31 იანვრამდე.

მუხლი 11. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მუხლი 12. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ - ლევან გოთუას სახელობის ქალაქ რუსთავის N17 საჯარო სკოლა ს/კ 216317260 მის. : ქ. რუსთავი, გურამიშვილის N6 ტელ: 0341 27 74 00 **დირექტორი** **ნელი ლიქოკელი** _____ (ხელმოწერა) ბ.ა	ფიზიკური პირი ლევან კვიჟინაძე პირადი N35001115047 მის.: ქ. რუსთავი, ფალიაშვილის N3-85 ტელ.: 591 23 80 80 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22 ა/ა GE68LB0711136816577000 _____ (ხელმოწერა)